განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ
შპს თბილისის ქართულ ამერიკული სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
მერი ქვრივიშვილი
წევრი
ნიკა უთალიშვილი

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს თბილისის ქართულ -ამერიკული სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	406404939

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	სამგორის რაიონი, შუამთის ქუჩა #21
საფოსტო ინდექსი	0182
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	www.gast.edu.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	info@gast.edu.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	032 2 560 650

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	ბრძანება № MES 2 26 0000228593; 26/02/2026 წ.
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

მიმდინარე წლის 6 მარტს დაგვევალა ექსპერტთა ჯგუფს შპს თბილისის ქართულ ამერიკული სკოლის ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული "გ" პუნქტის "გ,დ", "გ,ე" და „გ,ვ" ქვეპუნქტების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების განხორციელება დოკუმენტების შესწავლით (გეგმური მონიტორინგი). დოკუმენტების წარდგენის შემდგომ სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა. ექსპერტთა ჯგუფმა წაროდგენილ მასალაზე დაყრდნობით შეაფასა ზემოხსენებული პუნქტების შესაბამისობა სტანდარტებთან და შედგა ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
504	319

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3	☒ **შეესაბამება**

სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

სტანდარტი 3	წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები	შესრულების სტატუსი
3.4.1.1	1.სკოლას მიეცა რეკომენდაცია წარმოადგინოს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის შესაბამისად შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა. 2023 წლის 22 სექტემბრამდე; 2.სკოლამ წარმოადგინოს სკოლის ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა.2023 წლის 22 სექტემბრამდე; 3.სკოლამ წარმოადგინოს შენობის ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობის) შეფასების შესახებ დასკვნა. 2023 წლის 22 სექტემბრამდე	შესრულდა
3.5.1.2	სკოლამ უზრუნველყოს მთლიანი შენობა- ნაგებობების სამშენებლო/სარემონტო სამუშაოების დასრულება, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი გეგმა გრაფიკისა და შესაბამისობის გეგმის თანახმად 2023 წლის 10 სექტემბრამდე	შესრულდა
3.6.1.2	სკოლამ მოაწყოს შესაბამისი ტექნოლოგიური სივრცეები 2023 წლის 10 სექტემბრამდე შესაბამისობის გეგმის თანახმად	შესრულდა

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლა უზრუნველყოფს თავის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას სხვადასხვა გზით:

- იწარმოება ვიზიტორთა მონიტორინგი. სწავლის პერიოდში გარეშე პირთა სკოლაში შემოსვლა დაიშვება მხოლოდ ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ტერმინალის გავლით სპეცალური პლასტიკური ბარათების მეშვეობით;
- შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეო-სამეთვალყურეო კამერები;
- სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი“, რომელიც შეთანხმებულია განათლების, მეცნიერებისა და ახლაგაზრდობის სამინისტროსთან;
- სკოლას შემუშავებული და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (წერილი №MIA 2 23 02579900 / 05/09/2023წ.), ამასთან აღნიშნულ სამსახურს ჩატარებული აქვს სიმულაციური განგაშის ორგანიზება;
- სკოლას აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შედგენილი დადებითი დასკვნა (№ 5005719823 /07-09-2023წ.);
- სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სკოლამ მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს და დღეის მდგომარეობით ფლობს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-

ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის დადებით დასკვნას სკოლის სამივე შენობაზე (აქტი№ 215; 216; 217 / 28-05-2024წ.);

- სკოლას დადებული აქვს ხელშეკრულება ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი კომპეტენციის პირთან.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამისად სკოლის შენობის პირველ სართულზე მოქმედებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფილია პირველადი დახმარებისთვის საჭირო ინვენტარით. სკოლა რეგულარულად ახორციელებს შესაბამისი მედიკამენტების შეძენას. სამედიცინო სივრცე ფუნქციონირებს და სკოლის საზოგადოებას უწევს პირველად სამედიცინო მომსახურებას დირექტორის მიერ დადგენილი „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესის“ და „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმის“ შესაბამისად. სკოლაში დასაქმებულია ერთწლიანი ხელშეკრულების საფუძველზე პედიატრის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი, რომელიც ფლობს სახელმწიფო სერთიფიკატებს „პედიატრიასა“ და „საოჯახო მედიცინაში“, კვალიფიკაციის ამაღლებისთვის რეგულარულად ზრუნავს, ესწრება სხვადასხვა სახის ტრენინგებს და ფლობს შესაბამის სერთიფიკატებს.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს განათლების, მეცნიერებისა და ახლაგაზრდობის სამინისტროსთან შეთნხმებული და სკოლის მიერ დამტკიცებული „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა“ და პირობების მოთხოვნათა დაცვით (№ M ES9230001198776 / 20/09/2023წ.). სწორედ ამ მიზნით სკოლაში დასაქმებულია- დაცვის თანამშრომლები, საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე და სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები. სკოლის შინაგანაწესში დეკლარირებული მუხლები უზრუნველყოფს სკოლის უსაფრთხო ფუნქციონირების სტანდარტებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისათვის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას. კლასის დამრიგებლები სადამრიგებლო საათის ფარგლებში ასაკობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით შლიან უსაფრთოების თემებს და ამ ემოციურად უსაფრთხო გარემოს გასასაჯანსაღებლად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ასევე სკოლას ყავს ფსიქოლოგი, რომელიც სამუშაო გეგმის თანახმად ახორციელებს როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ მუშაობას. ფსიქოლოგის სამუშაო მიმართულებები მოსწავლეთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერის კუთხით მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- ინდივიდუალური კონსულტაციები ემოციური, ქცევითი და აკადემიური სირთულეების შემთხვევაში;
- ფსიქო-სოციალური საჭიროებების შეფასება;
- მოტივაციის, თვითშეფასების, სტრესის მართვის, თვითრეგულაციის განვითარების ხელშეწყობა;
- კონფლიქტების განმუხტვის უნარების სწავლება;.
- პრობლემური ქცევის შემთხვევაში ქცევითი ინტერვენციის გეგმის შედგენა და განხორციელება.

ასევე, პერმანენტულად ხორციელდება ბულინგის, ტოლერანტობის, ემპათიის, ემოციების მართვის, თანატოლთა ზეგავლენის, პირადი სივრცის, მიზნის დასახვის და სხვა თემატიკის პრეზენტაციები, რომლებიც, ასევე ხელს უწყობს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას. სკოლაში ადაპტაციის მექნიზმების ეფექტური მართვისთვის არსებობს წერილების პრაქტიკა, რითაც სკოლა პირველკლასელთა მშობლებს მიმართავს, წერილი შეიცავს როგორც ადაპტაცია/დეზადაპტაციის ნიშნებს, ასევე ეხმარება მშობლებს ბავშვის ემოციების სწორად აღქმასა და მართვაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმის“ შესაბამისად უზრუნველყოფენ დასუფთავების თანამშრომლები. სკოლა ასევე შპს „სადეზინფექციო პროფილაქტიკური მომსახურების“ მხრიდან უზრუნველყოფს მწერებისა და მღრღნელების წინააღმდეგ სკოლის შენობების პროფილაქტიკურ დამუშავებას, რომელთანაც, გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულება. სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრებისგან შემდგარი ჯგუფის მიერ პერიოდულად ხდება კვების ობიექტის მონიტორინგი.ასევე სკოლა ატარებს წყლის მიკრო-ბიოლოგიურ კვლევას.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლა იცავს პერსონალური მონაცემების დაცვის წესებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა, თანამშრომელთა და მშობელთა პერსონალური ინფორმაციის უსაფრთხო დამუშავებას. პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველსაყოფად გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „ბიესეი სეიფთი“ სთან, რომელიც თავის მხრივ ატარებს რიგ ღონისძიებებს: აორგანიზებს ტრენინგებს ცნობიერების ამაღლების მიზნით; პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე შეიმუშავებს თანხმობის ფორმებს როგორც მშობლებთან, ასევე მოსწავლეებთან 16 წელს ზემოთ და თანამშრომლებთან; მონიტორინგს უწევს სკოლაში არსებულ პერსონალურ მონაცემთა დაცვას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში ფუნქციონირებს „ინფორმაციის დაცვის მექანიზმი“, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, შენახვის, გამოყენებისა და დაცვის რეგულაციები. სწორედ ამ მიზნით სკოლას ხელშეკრულება დადებული აქვს შპს „უნივერსთან“, რომელიც თავის მხრივს გადაცემს სკოლას ლიცენზიას შიდა სასკოლო დოკუმენტების ელექტრონულად საწარმოებლად. ხელშეკრულების მიხედვით ინფორმაციის შენახვა ხდება ყველა სტანდარტის დაცვით და რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლას ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შრომის უსაფთხოების სერთიფიცირებულ სპეციალისტთან, ამასთან უსაფრთხოების პირობების შესრულების შემოწმებისა და ძალადობის რისკების შეფასების მიზნით შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც ამოწმებს ამ კუთხით მოქმედ რეგულაციებთან და შიდა სტანდარტებთან შესაბამისობას, ასევე ატარებს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტთან შეხვედრებს, აწარმოებს კვლევებს და უზრუნველყოფს მონაცემთა ანალიზს და შეგროვებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი სკოლის საგანგებო მდგომარეობის მართვის გეგმის შეთანხმების შესახებ (№MIA 2 23 02579900 /05/09/2023წ.);*
- *უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი;*
- *სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შედგენილი დასკვნა (№ 5005719823 /07-09-2023წ.);*
- *სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის დასკვნა სკოლის სამივე შენობაზე (აქტი№ 215; 216; 217 / 28-05-2024წ.);*
- *ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანის თაობაზე;*
- *სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი;*
- *ექიმის პირადი საქმე;*
- *დაცვის თანამშრომლის ხელშეკრულება;*
- *ბრძანება № 01-06ს- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პირის დანიშვნის თაობაზე;*
- *ბრძანება № 01-29ს- სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ;*
- *სადამრიგებლო პროგრამები;*
- *ფსიქოლოგის სამოქმედო გეგმა;*

- *ფსიქოლოგის ანგარიში;*
- *მომსახურების ხელშეკრულება პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციასთან;*
- *ინფორმაციის დაცვის მექანიზმი;*
- *მომსახურების ხელშეკრულება შპს „უნივერსთან“*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს ერთ მისამართზე კერძოდ, ქალაქ თბილისში- შუამთის ქუჩა №21 ში. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით სასკოლო ინფრასტრუქტურა განთავსებულია 4039.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე და მოიცავს რამდენიმე ნაგებობას: სკოლისათვის განკუთვნილ შენობას; სპორტულ დარბაზს; მრავალფუნქციური დანიშნულების

შენობას (საინფორმაციო ცენტრი, არაფორმალური განათლება) და სპორტულ მოედანს. უძრავი ქონება საკუთრების უფლებით ეკუთვნის შპს „ვი-თი“ ჯგუფს, რომელთანაც გაფორმებულია იჯარის ხელშეკრულება 10 წლის ვადით. მოიჯარეა შპს „თბილისის ქართულ-ამერიკული სკოლა“. ხელშეკრულება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. სკოლა ფლობს საჭირო რაოდენობის სასკოლო ინვენტარს: მოსწავლეთა მერხებს, სკამებს, დაფებს, სმარტ ეკრანებს, ციფრურ ტექნიკას, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობას, სპორტულ ინვენტარს (520 ერთეული ერთადგილიანი სასკოლო მერხი და სკამი, ინტერაქტიული სმარტ ეკრანი - 23 ერთეული, ლეპტოპი - 32 ერთეული და 6 ერთეული პრინტერი). სკოლას აქვს პანდუსი პირველ სართულზე შესასვლელად და ლიფტი. სკოლის სპრტული დარბაზი გაიჯარებულია და მოსარგებლეა „ზაზა ფაჩულიას საკალათბურთო აკადემია“, ხელშეკრულების თანახმად დარბაზით სარგებლობს საგაკვეთილო პროცესების დასრულების შემდგომ.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების მიერ სკოლის სხვადასხვა რესურსით სარგებლობის წესსა და პირობებს. აღნიშნული წესით სკოლაში, როგორც მასწავლებელთათვის, ასევე მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა საგანმანათლებლო მატერიალური და ელექტრონული რესურსები (კომპიუტერები, პროექტორები, პრინტერები, სკანერები, ლაბორატორიის აღჭურვილობა, რუკები, წიგნები, ელექტრონული რესურსები და სხვა).**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფილია სათანადო წიგნადი ფონდით. დირექტორის ბრძანებით შემუშავებულია „ბიბლიოთეკის დებულება“, რომელიც არეგულირებს ბიბლიოთეკაში დაცული რესურსების გამოყენებასა და სარგებლობას. აღნიშნული წესი სრულად შეესაბამება „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონს და სკოლის შიდა დებულებებს. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელიც უზრუნველყოფს წიგნების მოძრაობის აღრიცხვიანობას. ბიბლიოთეკარი გეგმით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების შესახებ დირექტორის წინაშე წარგდება გაწეული და შესრულებული საქმიანობის ანგარიშით. ბიბლიოთეკარის მიერ წიგნის კითხვის პოპულარიზაციის მიზნით იგეგმება და ხორციელდებოდა თემატური აქტივობები. ბიბლიოთეკა ასევე სარგებლობს ელექტრონული კატალოგით, რისთვისაც მომსახურების ხელშეკრულება დადებული აქვს ორგანიზაცია OpenBiblio-სთან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასრუქტურა ქნის ინკლუზიურ გარემოს, ამისათვის სკოლაში შესასვლელად მოწყობილია პანდუსი, სართულებზე გადასაადგილებლად დამონტაჟებულია ლივტი, ადაპტირებულია სველი წერტილები, ფუნქციონირებს რესურს ოთახი შესაბამისი აღჭურვილობით.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის სასწავლო კორპუსში კეთილმოწყობილია ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სააქტო დარბაზი, განცალკევებით მდებარეობს ახლად რეკონსტრუირებული სპორტული დარბაზის შენობა. სკოლას აქვს დამკვიდრებული პრაქტიკა განახორციელოს შემეცნებითი, სახელოვნებო, სპორტული ღონისძიებები და პროექტები სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. ასეთ აქტივობებსა და შეხვედრებს ტარდება როგორც სააქტო და სპორტულ დარბაზებში, ასევე სკოლის ეზოში. ღონისძიებების წარმართვისათვის დიდ როლს ასრულებს სკოლის შესაბამისი ინფრასტრუქტურა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ***ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;***
- ***მატერიულური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;***
- ***იჯარის ხელშეკრულება „ზაზა ფაჩულიას საკალათბურთო აკადემიასთან";***
- ***„მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი";***
- ***„ბიბლიოთეკის დებულება";***
- ***მომსახურების ხელშეკრულება ორგანიზაცია „OpenBiblio"-სთან;***
- ***ლიცენზის ხელშეკრულება;***
- ***ფოტო მასალა.***

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია, მოსწავლეები, მასწავლებლები, პერსონალი უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, ლეპტოპებით, პრინტერებით, ლოქერებით, სკანერისა და ქსეროქსის აპარატებით. სკოლაში ხელმისაწვდომია მუდმივი ინტერნეტი (WI-FI). სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც კომპიუტერების გარდა აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით. საკლასო ოთახები აღჭურვილია ეკრანებით/სმარტ დაფებით, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვას და მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას, უვითარებს მათ ინფორმაციის მოძიების, დახარისხების, დამუშავებისა და შეფასების, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარებს. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი რესურსებით. ამრიგად, როგორც ადმინისტრაციული ისე სასწავლო პროცესის მხარდაჭერა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით ეფექტურად ხორციელდება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას დამტკიცებული აქვს „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო მიზნებისთვის სკოლა

უზრუნველყოფს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მათ შორის ელექტრონული რესურსების თანაბარ ხელმისაწვდომობას სკოლის მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის, რაც სასწავლო პროცესსა და სამუშაო გარემოს ეფექტურს ხდის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ***მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;***
- ***ლეპტოპების, პრინტერების, სმარტ დაფების, ეკრანების, ლოქერების, საბუნებიმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიის ტექნიკურ- მატერიალური რესურსების შესყიდვის დოკუმენტაცია;***
- ***ინტერნეტის მომსახურების კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება.***

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი. აღნიშნული წესი განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს, რომელიც ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ თანამშრომელსა და პირზე. სკოლა უზრუნველყოფს ნებისმიერი სახის დოკუმენტაციის სწორად, დროულად მომზადებას, გაფორმებას, აღრიცხვას, გამოყენებას და შენახვას. სკოლის საქმისწარმოება მიმდინარეობს შემდეგი სახის დოკუმენტაციაზე, ელექტრონული და მატერიალური სახით შემოსული დოკუმენტაცია, გასული დოკუმენტაცია, შიდა დოკუმენტაცია. სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას- https://edudocs.ge, რომელშიც იტვირთება სკოლის მიერ გამოცემული ბრძანებები, შემოსული და გასული კორესპოდენცია. ელექტრონულად

შემოსულ დოკუმენტაციაზე საქმისწარმოების წესი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული წერილი შემოსულია ორგანიზაციის ოფიციალურ მეილზე:office@gast.edu.ge, info@gast.edu.ge. სკოლაში საქმისწარმოების პროცესზე პასუხისმგებელია ადმინისტრაციული მენეჯერი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა სარგებლობს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემით - https://edudocs.ge სადაც ხდება საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დოკუმენტების: ბრძანებების, წერილების, სამსახურეობრივი ბარათების და სხვ. რეგისტრაცია. სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა:office@gast.edu.ge, info@gast.edu.ge რომელიც გამოიყენება სკოლის მართვაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემა eschool-ში შეყვანილია სკოლის ყველა თანამშრომლის, მოსწავლისა და მშობლის მონაცემები, რომლებიც განახლებადია. დაწესებულება სისტემაში ახორციელებს სასწავლო განრიგის შექმნას, საგნების განაწილებას, კლასების შექმნას. დირექტორის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, სისტემაში აისახება მოსწავლეთა მობილობა,სტატუსის ცვლილება, კლასის დაძლევა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. დაწესებულება მათ აწვდის შესაბამის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას. სკოლის მარეგულირებელი ორგანო არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. სამინისტროსა და სკოლას შორის შუალედური რგოლია რესურსცენტრი, რომლის დახმარებითაც სხვადასხვა ანგარიშებისა და ინფორმაციის გაზიარება ხდება სამინისტროსთან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ***საქმისწარმოების წესი;***
- ***საქმიწარმოების ელექტრონული პლათფორმის ორგანიზაციასთან (https://edudocs.ge) გაფორმებული ხელშეკრულება;***
- ***Eschool -ის გაზის მასალები/ფოტოები;***

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი, რომელიც ხელს უწობს სასკოლო საზოგადოების მხრიდან სკოლის ნდობისა და აღიარების ამაღლებას, ობიექტური ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და ორმხრივი ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის შექმნას. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა (https://gast.edu.ge/) და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით

(https://www.youtube.com/@GASTTbilisi); სკოლა აქტიურად სარგებლობს სხადასხვა სოციალური ქსელებით (https://www.facebook.com/gasttbilisi; Gast_tbilisi (ინსტაგრამი); Gast_2023 (tiktok)) და მეილით: office@gast.edu.ge, info@gast.edu.ge სკოლა მრავალი საკომუნიკაციო საშუალებებით ახორციელებს საზოგადოების დროულ ინფორმირებას სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის მიერ შემუშვებული საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესის მიხედვით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, რომელსაც ევალება სკოლის ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებამდე შეამოწმოს ინფორმაციის სანდოობა და განსაზღვროს სკოლის სახელით გავრცელების საჭიროება/აუცილებლობა, ასევე არ დაუშვას სკოლის სახელით გავრცელდეს, ყალბი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია. ყოველივეს შემდეგ ხდება სოციალურ ქსელებში/ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლა იყენებს ონლაინ კითხვარებს სასკოლო საზოგადოებაში ინფორმაციის მოგროვებისა და დამუშავების პროცესის გამარტივების მიზნით, ასევე სკოლა ახორციელებს ციფრული სახით მიღებული ინფორმაციის დამუშავებას. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი ბრძანება და კითხვარი სასკოლო გარემოს შეფასებასთან დაკავშირებით (ფსიქოლოგიური, ემოციური და ფიზიკური პირობები, თანამშრომელთა მხარდამჭერი პირობები) რის მიხედვით მომზადდა ონლაინ კითხვარი და გამოიკითხა სკოლაში დასაქმებულები, მშობლები და მოსწავლეები. II- IV კლასის მოსწავლეებისგან კი შეიქმნა ფოკუს-ჯგუფი, რაც დაეხმარა სკოლას სასწავლო ხარისხის გაუმჯობესებაში.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას შექმნილი აქვს ვებ გვერდი: (https://gast.edu.ge/) რომელზეც განთავსებულია სკოლის შესახებ ინფორმაცია ქართულ ენაზე, სადაც ასევე შესაძლებელია წარმოდგენილი ინფორმაციის ინგლისურ ენაზე გაცნობა. სკოლას ასევე აქვს სხვადასხვა სოციალური პლათფორმები (https://www.youtube.com/@GASTTbilisi; https://www.facebook.com/gasttbilisi; Gast_tbilisi (ინსტაგრამი); Gast_2023 (tiktok)) სადაც პერიოდულად ხდება ინფორმაციის განახლება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, სამოქმედო გეგმა, სამოქმედო გეგმის შუალედური მონიტორინგის ანგარიში, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში და საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ***საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი;***
- ***გრძანება N 01/66ს შ.პ.ს "თბილისის ქართულ-ამერიკულ სკოლაში" შეფასების კითხვარის დამტკიცების თაობაზე და კითხვარის შაბლონი;***
- ***სკოლის ვებ გვერდი: (https://gast.edu.ge/) ;***
- ***სკოლის სოციალური ქსელები (https://www.facebook.com/gasttbilisi; Gast_tbilisi (ინსტაგრამი); Gast_2023 (tiktok));***
- ***სკოლის სოციალური პლათფორმა (https://www.youtube.com/@GASTTbilisi).***

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი 18.03.2026წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: